

**საბოლოო ანგარიში ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის
რეგიონებში 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის ჩატარების თაობაზე**

შესავალი

ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით პროექტის "2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის სამოქალაქო ინიციატივა - არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ამომრჩეველთა შესაძლებლობათა გაფართოება" ფარგლებში "საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანმა საქართველომ" განახორციელა საარჩევნო მონიტორინგის პროგრამა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

ორგანიზაციის მიერ მივლინებული 320 დამკვირვებლიდან, 140 დამკვირვებელი აკვირდებოდა საარჩევნო პროცესს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ხოლო 180 დამკვირვებელი თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებდა ქვემო ქართლის რეგიონში.

"მრავალეროვანმა საქართველომ" განახორციელა დაკვირვება რუსთავის №20; გარდაბნის №21; მარნეულის №22; ბოლნისის №23; დმანისის №24; წალკის №25; ბარჯომის №36; ახალციხის №37; ადიგენის №38; ასპინძის №39; ახალქალაქის №40; და ნინოწმინდის №41 საარჩევნო ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე.

ორგანიზაციამ დამკვირვებლები მოიწვია როგორც ქ. თბილისიდან, ასევე შესაბამისი რეგიონების ქალაქებიდან და სოფლებიდან.

დაკვირვების მასშტაბი

საპროექტო იდეების, მიზნებისა და ამოცანების ეფექტური და დროული რეალიზების მიზნით, მონიტორინგის პროგრამის მიერ გამოყენებულ იქნა არჩევნებზე დაკვირვების მრავალპროფილური და მრავალსაფეხურიანი ტექნოლოგია და მეთოდი. აღნიშნულის მიზნით პროგრამის ფარგლებში ა) განხორციელდა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი და შემუშავდა ორი ანგარიში; ბ) წარმოებულ იქნა არჩევნების დღის მონიტორინგი და ბოლოს გ) უზრუნველყოფილ იქნა არჩევნების დღის შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენების სრულფასოვანი ანალიზი და შეფასება.

წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგი უმთავრესად ფოკუსირებული იყო პროექტის რეგიონებში მივლინებული დამკვირვებლებისაგან მიღებული ინფორმაციის ანალიზზე და მოიცავდა შემდეგ საკითხებს: რეგიონებში მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მონიტორინგი; საარჩევნო რესურსებისადმი არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების ხელმისაწვდომლობის ხარისხი; რეგიონებში არსებული პოლიტიკური გარემოს ანალიზი; პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებზე განხორციელებული

ზეწოლისა და დაშინების ფაქტების ანალიზი; ადგილობრივი საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და საარჩევნო პროცესებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ჩართულობის ხარისხის მიმოხილვა.

წინასაარჩევნო პროცესებზე დაკვირვების ანგარიშებში ასახული ყველა ფაქტობრივი მასალა მოპოვებული იქნა რეგიონებში პროექტის მიერ მივლინებული გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ, ასევე სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში მომქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიების/ბლოკების წარმომადგენლებთან გაბმული უშუალო კომუნიკაციის საფუძველზე. ანგარიშები იმგვარად იქნა შემუშავებული, რომ შესაძლებელი გამხდარიყო საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში აღმოჩენილი ყველა ფაქტობრივი გარემოების რეგიონალურ კონტექსტში განხილვა და შეფასება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არჩევნების დღეს საარჩევნო კანონმდებლობის უგულველყოფისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენასა და შეფასებას. აღნიშნულის მიზნით არჩევნების დღეს სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული და გავრცელებული იქნა საარჩევნო დღის მონიტორინგის ოთხი სიახლე, რომლებშიაც ასახულ იქნა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში პროექტის მივლინებული დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი ელექტორალური დარღვევების ფაქტები.

პროექტმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია, რათა ყურადღებით დაკვირვებოდა არჩევნების შემდგომ განვითარებულ მოვლენებს და გაენალიზებინა ყველა ის ფაქტები, პრობლემები და გამოწვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ დამკვირვებლების მიერ ელექტორალურ დარღვევათა გასაჩივრების, ასევე საუბნო, საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების მიერ საჩივრების განხილვის პროცესში. ორგანიზაციამ ყურადღებით შეისწავლა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების პრაქტიკა.

მოკლე შინაარსი

სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა საარჩევნო კანონმდებლობის რიგი დარღვევების ფონზე, მათ შორის როგორც კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევის, ასევე საარჩევნო პროცედურების უმნიშვნელო უგულველყოფის გათვალისწინებით. რეგიონებში გამოვლენილი დარღვევები ატარებდნენ შემდეგ ხასიათს:

- მარკირების პროცედურების გამოუყენებლობა;
- მასიური ხასიათის განმეორებითი და მრავალჯერადი ხმის მიცემა ერთი და იმავე ამომრჩევლის მიერ (ეგრეთწოდებული "კარუსელი"), ასევე საარჩევნო ურნაში დიდი რაოდენობით საარჩევნო ბიულეტენების ჩაყრა, მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მხრიდან საარჩევნო ურნაში ბიულეტენების ორგანიზებულად ჩაყრა;
- ხმის მიცემა ოჯახის წევრების სახელით;
- ხმის მიცემა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების წარდგენის გარეშე;

- დამკვირვებლებზე ზეწოლის მოხდენა, მათ შორის ფიზიკური ანგარიშსწორებით დამუქრება;
- არჩევნების შემდგომ დამკვირვებლებზე განხორციელებული წნეხი, სამსახურიდან დათხოვნის მუქარა;
- ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ხმის დათვლის პროცესში ჩარევა;
- საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ოქმების გამოტანა და მათი შევსება საოლქო საარჩევნო კომისიებში;
- შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციის სათანადოდ არ გაფორმება (სარეგისტრაციო ჟურნალი, საკონტროლო ფურცელი, სადემონსტრაციო ოქმი და ა.შ.);
- ამომრჩევლებზე ზეწოლის მოხდენის მცდელობები.

საბოლოო ჯამში ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული რეგიონების საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში შეიტანეს 48 საჩივარი. 12 საჩივარი შეტანილ იქნა საოლქო საარჩევნო კომისიებში. ორგანიზაციის მიერ წარდგენილი არცერთი საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული, გარდა ერთისა, რომელიც ითვალისწინებდა ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქის კორხის 15-ე საარჩევნო უბნის შედეგების გაბათილებას, სადაც "მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი იქნა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მხრიდან საარჩევნო ურნაში საარჩევნო ბიულეტენების მასიურად ჩაყრის ფაქტი. გარკვეული დარღვევები პერიოდულად მეორდებოდა ერთი და იმავე საარჩევნო უბანზე, თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უარს აცხადებდნენ საჩივრების განმეორებით მიღებაზე.

აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოება, რომ პროექტის სამიზნე რეგიონებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ელექტორალური ცნობიერების დონე კვლავაც დაბალია და სერიოზულ პრობლემასა და გამოწვევას წარმოადგენს. ასევე არადამაკმაყოფილებელია კომისიის წევრთა მზადყოფნის ხარისხი ითანამშრომლონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დამკვირვებლებთან. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კვლავაც სერიოზულ შემოთხუთებას იწვევს ამომრჩეველთა ელექტორალური და სამართლებრივი ცნობიერების დაბალი ხარისხი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს არჩევნების გაყალბების ერთერთ უმთავრესს განმაპირობებელ ფაქტორს. აღნიშვნას საჭიროებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გახსნილობის ხარისხი და მისი პროაქტიური მიდგომა სადამკვირვებლო მისიებთან მუშაობისა და კომუნიკაციის პროცესში.

მონაცემთა მოპოვების მეთოდოლოგია საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში

პროექტმა მიმართა რამოდენიმე მეთოდს, რათა მოეპოვებინა სათანადო მონაცემები წინასაარჩევნო პროცესების, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენების შესაფასებლად.

ინფორმაციის მიღების უმთავრესს წყაროს წარმოადგენდნენ პროექტის ფარგლებში რეგიონებში მივლინებული გრძელვადიანი დამკვირვებლები. უფრო მეტიც,

პროექტის გუნდის მიერ პირდაპირი კომუნიკაცია იქნა დამყარებული ზემოაღნიშნულ რეგიონებში მომქმედ ძირითადი პოლიტიკური პარტიების/ბლოკების წარმომადგენლებთან, რის შესაბამისადაც შესაძლებელი გახდა უფრო მეტი გაგვეგო რეგიონებში მომქმედი პოლიტიკური სუბიექტების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების თაობაზე. გარდა აღნიშნულისა, პროექტი ინარჩუნებდა მჭიდრო პროფესიულ კავშირ-ურთიერთობას როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონებში საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, რათა მიეღო საჭირო ინფორმაცია არჩევნებთან მიმართებაში. პროექტის მიერ ასევე ფართოდ იქნა გამოყენებული რეგიონალურ მედია საშუალებებთან კონსულტირების პრაქტიკა, რათა გადამოწმებულიყო რეგიონებიდან სხვადასხვა მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით საპროექტო გუნდს შესაძლებლობა მიეცა მიღებული მონაცემები ერთმანეთს შეედარებინა, გადაემოწმებინა და დაეხარისხებინა, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლებელი გახადა საკითხთა თაობაზე ობიექტური დასკვნების გაკეთება.

დაკვირვების მიზნით საარჩევნო უბნების შერჩევის მეთოდოლოგია

პროექტის განსახორციელებლად განკუთვნილი ფინანსური რესურსების შეზღუდული მოცულობის გათვალისწინებით, პროექტის გუნდმა განისმარხა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მხოლოდ იმ საუბნო საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო უბნებისათვის, რომლებიც ხასიათდებოდნენ განსაკუთრებული პრობლემატურობით 2008 წლის ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს და სადაც ადგილი ჰქონდათ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის მზარდი რაოდენობის ფაქტებს (საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ, ერთი და იმავე ამომრჩევლის მიერ განმეორებით ხმის მიცემა, საარჩევნო ურნაში ერთჯერადად დიდი რაოდენობით საარჩევნო ბიულეტენების ჩაყრა, საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმების გაყალბება და შესაბამისად არჩევნების შედეგების ფალსიფიცირება, ამომრჩევლებზე განხორციელებული წნეხი და დაშინება და სხვა). აღნიშნულის გათვალისწინებით საპროექტო გუნდისთვის პროექტის მიერ შერჩეულ უბნებზე სადამკვირვებლო პროგრამის განხორციელება წარმოადგენდა უმნიშვნელოვანესს გამოწვევას.

დამკვირვებელთა შერჩევის მეთოდოლოგია

პროექტის მიერ დასაკვირვებლად შერჩეული რეგიონები გამოირჩევიან ეთნიკური უმცირესობების თემებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიებით, სადაც ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფები საუბრობენ მხოლოდ მათ მშობლიურ ენებზე - სომხურად და აზერბაიჯანულად. სწორედ აღნიშნული გარემოება იქნა გათვალისწინებული დამკვირვებელთა გამოვლენისა და შერჩევის პროცესში. თითოეულ დამკვირვებელს მოეთხოვებოდა როგორც თავიანთი მშობლიური ენის, ასევე სახელმწიფო ენის სრულფასოვნად ფლობა, რათა გაადვილებოდა კომუნიკაცია როგორც ადგილობრივ ამომრჩევლებთან, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებთან, რომლებიც ნაწილობრივ მხოლოდ ქართულ ენაზე საუბრობდნენ. უფრო მეტიც, პროექტის მიერ ასევე შემუშავებული და მოთხოვნილ იქნა დამატებითი

უნარჩევები, რომელთა დაკმაყოფილებაც მოეთხოვებოდა თითოეულ პოტენციურ დამკვირვებელს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დამკვირვებლის პროფესიულ მანერიზმს, კომუნიკაციისა და ანგარიშის წერის კულტურას, საარჩევნო თემების ცოდნას (საარჩევნო წესები, პროცედურები, დამკვირვებელთა და ამომრჩეველთა უფლება-მოვალეობები), ასევე მზადყოფნის ხარისხს, რათა ეთანამშრომლა პროექტის გუნდთან საპროექტო იდეებისა და მიზნების ეფექტურად რეალიზების მიზნით.

ძირითადი მიგნებები

წინასაარჩევნო პერიოდი

პოლიტიკურ აქტივისტებზე განხორციელებული ზეწოლა და დაშინება

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოლიტიკური ფონი რეგიონებში ზოგადად სიმშვიდით გამოირჩეოდა. იგი გახლდათ სტაბილური და ემოციებისა და ძალადობისაგან თავისუფალი იმ პოლიტიკური კონტექსტისაგან განსხვავებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პროცესში, როდესაც პოლიტიკური გარემო უაღრესად დამაბული და ემოციურად დატვირთული გახლდათ.

მიუხედავად აღნიშნულისა, პოლიტიკური ტემპერატურის მატებასთან ერთად რეგიონებში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების/ბლოკების წარმომადგენლები მიუთითებდნენ საარჩევნო პროცესის ხელშემშლელ ფაქტორთა და პოლიტიკურ აქტივისტებზე განხორციელებული წნეხის ფაქტების ზრდაზე. გარკვეული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები კმაყოფილებას გამოთქვავდნენ მშვიდი წინასაარჩევნო გარემოს არსებობით და ვერ ხედავდნენ რაიმე დამაბრკოლებელ გარემოებებს წინასაარჩევნო პროცესის ცივილიზებულ რეჟიმში წარსამართავად. რიგი პოლიტიკური პარტიები წუხილს გამოთქვავდნენ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლში მოღვაწე პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული წნეხისა და დაშინების ფაქტების თაობაზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის შეინიშნებოდა აზრთა სხვადასხვაობა დასმული პრობლემის არსებობის თაობაზე.

დავით რასტაკიანის (“მომრაობა სამართლიანი საქართველოსთვის” პარტიული სიის პირველი ნომერი ქ. ახალქალაქის საარჩევნო ოლქში) მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად გამოვლენილი იქნა პარტიის წევრების დაშინების შემდეგი ფაქტები:

1. ახალქალაქის რაიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი სამმართველოს უფროსის მოადგილე კახა ხუციშვილი, ამავე სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვიტალი ტოროსიანი და ქალაქის საკრებულოს წევრი რობინზონ ქართველიშვილი მოითხოვდნენ “მომრაობა სამართლიანი საქართველოსთვის” კანდიდატებისაგან საკუთარი კანდიდატურების მოხსნას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ სიაში მყოფ ეთნიკურ ქართველებზე. მათი განმარტებით, ეთნიკური ქართველები არ

უნდა ყოფილიყვნენ "მოდრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" პარტიულ სიაში, ვინაიდან იგი გახლავთ "ერის მოღალატეთა პარტია". კერძოდ, სოფელ ჩუნჩხაში (საუბნო საარჩევნო კომისია 40.19) მათ იგივე მოთხოვნით მიმართეს რობინზონ თოფაძეს. ბატონმა თოფაძემ მზადყოფნა გამოთქვა დაედასტურებინა აღნიშნული ფაქტი. იგივე შეემთხვა თენგიზ მარგებაძეს, რომელსაც დაემუქრნენ, რომ მის მეუღლეს სამსახურიდან დაითხოვდნენ.

2. "მოდრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" კანდიდატს ნაზელი დემურჩიანს დაემუქრნენ, რომ მის ძმას გაათავისუფლებდნენ სამსახურიდან.
3. იგივე პოლიტიკური პარტიის კანდიდატი რობერტ სტამბოლციანი გახდა ფალსიფიკაციის მსხვერპლი. უცნობმა პირმა მისი სახელით მოამზადა განცხადება ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის სახელზე, რომელშიაც ითხოვდა საარჩევნო სიიდან მისი კანდიდატურის მოხსნას. აღნიშნული განცხადება მოხვდა სამველ სტამბოლციანის (რობერტ სტამბოლციანის ძმის შვილის) ხელში შემდგომი პროცედურების გასატარებლად, რომელიც მუშაობს ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიაში. სამველი მიხვდა, რომ განცხადება არ იყო დაწერილი მისი ბიძის მიერ და უარი განაცხადა ადმინისტრაციული პროცედურების გატარებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, საოლქო საარჩევნო კომისიის სხვა წევრმა რობერტ სტამბოლციანი ამოიღო საარჩევნო სიიდან. სამველ სტამბოლციანს დაემუქრნენ, რომ გაირიცხებოდა საოლქო საარჩევნო კომისიიდან. რობერტ სტამბოლციანი აგრძელებდა ჩივილს, რომ იგი საარჩევნო სიებიდან ყალბი განცხადების საფუძველზე ამოიღეს.
4. სოფელ ქურხის სკოლის დირექტორი დაემუქრა ნანა ავეტესიანს, რომ თუ იგი გააგრძელებდა პოლიტიკურ საქმიანობას, სამსახურიდან იქნებოდა განთავისუფლებული.

როგორც "მოდრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" საარჩევნო შტაბის კოორდინატორმა ახალქალაქის რაიონში არმენ ფარმანიანმა განაცხადა, პოლიტიკური სუბიექტებისათვის ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში თანაბარი პირობები არ არის შექმნილი, არსებობს პოლიტიკურ აქტივისტებზე განხორციელებული ზეწოლისა და დაშინების ფაქტები. კერძოდ, როგორც მან განმარტა, "მოდრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" მაჟორიტარობის კანდიდატს ნინოწმინდის რაიონში ლევონ კობელიანს დაჟინებით ურჩიეს საკუთარი კანდიდატურის მოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებსა და ნათესავებს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდათ. ბატონი კობელიანი იძულებული გახდა მოეხსნა საკუთარი კანდიდატურა.

გარდა აღნიშნულისა, ბატონი ფარმანიანის განცხადებით, მოძრაობის მხარდამჭერებს ემუქრება ადგილობრივი პოლიცია და ასევე, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, რათა თავი დაანებონ მოძრაობასთან თანამშრომლობას. ამასთანავე, მოძრაობის კუთვნილი ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში გაკრული ყველა სააგიტაციო მასალა ჩამოგლეჯილ იქნა, სავარაუდოდ მმართველი პარტიის აქტივისტების მიერ.

როგორც ბატონმა ფარმანიანმა განაცხადა, ადგილობრივი მაღაზიების მფლობელები დაშინებულნი არიან და ზეწოლას განიცდიან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, რომლებიც არ აძლევენ მათ უფლებას საკუთარი მაღაზიის ვიტრინებზე გამოაკრან "მოდრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" კუთვნილი პოსტერები. მაღაზიების მფლობელები ჩივიან, რომ თუ ნებას მისცემენ ოპოზიციურ პარტიებს, გამოაკრან სააგიტაციო მასალა მათ შენობებზე, ისინი სასტიკად იქნებიან დასჯილნი. "ალიანსი საქართველოსთვის" ახალციხის ფილიალის უფროსის თამარ გოგოლაძისაგან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, არსებობს რეგიონში ალიანსის პოლიტიკურ აქტივისტებზე განხორციელებული ზეწოლისა და დაშინების, ასევე მმართველი პარტიის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ ადმინისტრაციული რესურსების უკანონოდ გამოყენების ფაქტები. როგორც ქალბატონმა თამარმა განაცხადა, ალიანსს არ გააჩნია მუშაობის თანაბარი პირობები მმართველ პარტიასთან შედარებით, რომელიც სარგებლობს ფინანსური და ადმინისტრაციული შესაძლებლობების უპირატესობით სხვა პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით.

როგორც ცნობილი გახდა, სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების და გარკვეულწილად მმართველი პოლიტიკური პარტიის კუთვნილი ვიზუალური სააგიტაციო პოსტერების უკანონოდ ჩამოხსნის პრაქტიკა რეგიონში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. "ალიანსი საქართველოსთვის" კუთვნილი პოსტერების უმეტესობა ძალით იქნა ჩამოგლეჯილი ახალციხეში და რეგიონის სხვა ადგილებში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო დაწესებულებების უმრავლესობის ვიტრინებზე გაკრული იყო მმართველი პარტიის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოსტერები, მაშინ როდესაც სხვა პოლიტიკური სუბიექტების კუთვნილი სააგიტაციო ბეჭდვითი მასალა არსად არ იყო განთავსებული. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, მათ შორის "ალიანსი საქართველოსთვის" ადგილობრივი წარმომადგენლების განცხადებით, ადგილობრივი სავაჭრო ობიექტების მფლობელები უარს ამბობენ ოპოზიციური პარტიების თხოვნაზე თავიანთი მაღაზიების ვიტრინებზე განთავსებინათ მათი პოსტერები. ამდენად, როგორც პოლიტიკური პარტიები აცხადებდნენ, მაღაზიების მფლობელები განიცდიდნენ ზეწოლას, სავარაუდოდ, ადგილობრივი ადმინისტრაციის მხრიდან, რათა არ დაეშვათ მათი თანამშრომლობა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან.

გარდა აღნიშნულისა, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივმა სახელისუფლებო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური სუბიექტებისათვის სააგიტაციო მასალის განთავსების თანაბარი პირობები. მაგრამ, "ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენლისაგან მიღებული განმარტებების თანახმად, ადგილობრივ ხელისუფლებას არ შესწევს უნარი (არ სურს) თანაბარი სივრცე გამოყოს აღნიშნული მიზნებისათვის - ისინი აცხადებენ, რომ სააგიტაციო სტენდები კერძო პირებს ეკუთვნით და სივრცის გამოყოფაზე გადაწყვეტილების მიღება უშუალოდ მათ კომპეტენციას მიეკუთვნება. შესაბამისად, ადგილობრივი ადმინისტრაცია ვერ ჩაერეოდა კერძო ბიზნესში. როგორც ცნობილი გახდა, ახალციხეში იყო სამი ბილბორდი, რომელთაგანაც ორი დაკავებული ჰქონდა "ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას".

”ალიანსი საქართველოსთვის” ადგილობრივმა წარმომადგენელმა პროტესტი გამოთქვა პოლიტიკურ აქტივისტებზე განხორციელებული დაშინების ფაქტებთან დაკავშირებით. 9 მაისს სოფელ მუსხიდან დაიკარგა ცხვარი, რომელიც იპოვეს რამოდენიმე დღის შემდეგ. მაგრამ, ადგილობრივი პოლიციის მიერ, ყოველგვარი სამხილის გარეშე დაკავებული იქნა ”ალიანსი საქართველოსთვის” სამი აქტივისტი, რომლებიც მიიყვანეს განყოფილებაში. მათი დაკითხვა გრძელდებოდა 10 საათზე მეტხანს. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ პოლიციის მიერ დაკითხული ორი ექვმიტანილი (გიორგი ჟუჟუნაძე და სპარტაკ მელიქიძე) იყვნენ პარტიის კანდიდატები ურავლის 13-ე საარჩევნო ოლქში, ხოლო მესამე პიროვნება (გიორგი ინასარიძე) გახლდათ ”ალიანსი საქართველოსთვის” მიერ წარდგენილი წევრი ურავლის 13-ე საარჩევნო კომისიაში. ყველა დაკავებული განთავისუფლებული იქნა 10 საათიანი ინტენსიური და შეურაცმყოფელი დაკითხვის შემდეგ.

”ალიანსი საქართველოსთვის” წარმომადგენელმა ბოლნისის რაიონში ბატონმა ასლანიძემ აღნიშნა პარტიის პოლიტიკური აქტივისტის მიმართ განხორციელებული დაშინების ფაქტი. ”ალიანსი საქართველოსთვის” მიერ წარდგენილ, სოფელ ფოლადაურის საარჩევნო კომისიის წევრს თემურ რეხვიაშვილს დაემუქრა ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” კანდიდატი რაჭისუბნის საარჩევნო ოლქში, ბესიკ რეხვიაშვილი, რათა მას შეეწყვიტა მჭიდრო თანამშრომლობა საარჩევნო ბლოკ ”ალიანსი საქართველოსთან”, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შეექმნებოდა სერიოზული პრობლემები. შედეგად თემურ რეხვიაშვილი გადადგა თანამდებობიდან და ამჟამად უმუშევარია. როგორც ბატონმა ასლანიძემ განაცხადა ზემოხსენებული ფაქტი მმართველი პარტიის მხრიდან პოლიტიკური აქტივისტის მიმართ განხორციელებული დაშინების აშკარა გამოვლინებაა.

ოპოზიციურ პოლიტიკურ სუბიექტებზე ზეწოლისა და დაშინების საკითხთან დაკავშირებით კრიტიკული პოზიცია ჰქონდა ”მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის” რუსთავის ორგანიზაციას. პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში პარტიის კოორდინატორზე განხორციელდა ზეწოლა საჯარო მოხელეთა მხრიდან. ბატონ ვალერიან ბერიძეს დაემუქრნენ უცხო პირები და ურჩიეს პარტიის დატოვება. ბატონი ბერიძე ვარაუდობს, რომ მუქარის უკან გამგებელი იდგა. პირი, რომელიც ემუქრებოდა პარტიის წარმომადგენელს, სავარაუდოდ იყო ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებელი. როგორც ”მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის” წარმომადგენლები აცხადებენ, ყოველ პიროვნებას, რომელიც პარტიასთან თანამშრომლობის სურვილს გამოავლენს, ემუქრებიან. მოძრაობის რუსთავის ფილიალის უფროსი ივანე შათირიშვილი აცხადებდა, რომ ქვეყანა ტერორში იმყოფებოდა და შესაბამისად, არჩევნები ობიექტურ გარემოში არ ჩატარდებოდა.

”ალიანსი საქართველოსთვის” მაჟორიტარობის კანდიდატმა წალკის რაიონის სოფელ ნარდევანში ჰაიკ მელტონიანმა განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა მისი ძმის მარლენ მელტონიანის უკანონოდ დაკავების მცდელობას. ჰაიკ მელტონიანის განცხადებით, მისი ძმა გაანთავისუფლეს მას შემდეგ, რაც ეცადნენ მისთვის ბრალი წაეყენებინათ სისხლის სამართლის დანაშაულში. ჰაიკ მელტონიანს არ შეუძლია მისი ძმის ყოველგვარი მიზეზების გარეშე დაკავების ფაქტის უმუალოდ საკუთარ პოლიტიკურ

საქმიანობასთან დაკავშირება, მაგრამ ეჭვობს, რომ ეს შეიძლება არაპირდაპირი მუქარა ყოფილიყო.

10 მაისს, რუსთავის 10-ე საარჩევნო უბანზე ”ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის” მაჟორიტარი კანდიდატის გიორგი მელიქიძის კუთვნილი სარეკლამო ბანერი ჩამოგლიჯეს და ძლიერ დააზიანეს.

გარდა აღნიშნულისა, იმავე პარტიის კუთვნილი სხვა პოსტერებიც იქნა უკანონოდ ჩამოგლეჯილი რუსთავის მე-7 და მე-8 მიკრორაიონებში.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება

არსებული ფაქტები მიუთითებენ, რომ რეგიონებში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მანამდე არსებული ტენდენციები არ გაუმჯობესებულა. არსებობდა გარკვეული პრეცედენტები, რომლებიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებდნენ მმართველ პოლიტიკურ ძალას ”ერთიან ნაციონალურ მოძრაობას”.

მიუხედავად აღნიშნულისა ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული იქნა ერთი ფაქტი, რომელმაც გამოიწვია ადგილობრივი თემების ზოგიერთი წარმომადგენლის, კერძოდ კი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და საჯარო სკოლების მოსწავლეების უკმაყოფილება. კერძოდ, ამომრჩევლების ფართო დასწრების უზრუნველყოფისა და სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნის მიზნით, მმართველი პოლიტიკური ძალის ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მიერ პარტიის კანდიდატების, ასევე მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენისას, რამოდენიმე საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დაჟინებით ეთხოვა სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების დასწრების უზრუნველყოფა შეხვედრაზე, რომელიც უნდა გამართულიყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრის, ახალციხის შუაგულში, თამარ მეფის ძეგლთან.

უნდა აღინიშნოს, რომ უდაოდ, არსებული საარჩევნო კანონმდებლობა უფრო ხელსაყრელია მმართველი პოლიტიკური პარტიისათვის, ვიდრე ოპოზიციური პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებისათვის. ნიშანდობლივია, რომ არსებული საარჩევნო კანონმდებლობა დამოუკიდებელ კანდიდატს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ აძლევს - კანონის მიხედვით, პიროვნება, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში (როგორც საპარლამენტო, ასევე ადგილობრივ არჩევნებში), წარდგენილ უნდა იქნას პოლიტიკური პარტიის მიერ. ეს ფაქტი წარმოადგენს დამოუკიდებელი შეხედულების მქონე იმ პოლიტიკოსების მიმართ სამმართველო საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაციის აშკარა ნიმუშს, რომელთაც არ სურთ არცერთ პოლიტიკურ სუბიექტთან გაერთიანება.

როგორც ”საქართველოს კონსერვატიული პარტიის” წარმომადგენელმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბატონმა ოლეგ სანდროშვილმა განმარტა, პოლიტიკური სუბიექტები წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისათვის ფორმალურად სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თუმცა, მმართველი პარტიის ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ხელთ არსებული უზარმაზარი ფინანსური და ადმინისტრაციული

რესურსების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ სამთავრობო პარტია უპირატესს პირობებში იმყოფება.

როგორც ქვემო ქართლის რეგიონში "მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებლების მიერ იქნა გამოვლენილი, ერთადერთი პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც მუდმივად მიუწვდება ხელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შეხვედრების ადგილებზე ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზებისათვის, არის მმართველი პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". ამომრჩევლებთან შეხვედრების გამართვის მიზნით პარტიის აქტივისტები იკრიბებიან კულტურის სახლებში, რომლებიც ეკუთვნის გამგეობას. რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს, მათ უარს ეუბნებიან მსგავსი ხასიათის შესაძლებლობების შეთავაზებაზე.

გარდა აღნიშნულისა, როგორც ადგილობრივი თემების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ადმინისტრაციული რესურსების უკანონოდ გამოყენება განსაკუთრებით ხდება ადგილობრივი მასწავლებლებისა და დეპუტატების მხრიდან კამპანიის წარმოების პოტენციალის გამოყენებით და ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების საშუალებით, რომლებიც ძირითადად ჩართულნი არიან მმართველი პარტიის "ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლო აგიტაციის წარმოებაში.

7 მაისს, "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა მარნეულში, ქამილ ალიევმა დაადანაშაულა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასა და წინასაარჩევნო აგიტაციის პროცესში ხელმძღვანელი პირების ჩართულობაში. ბატონი ალიევის თქმით, სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ჰუსეინ იუსუბოვი დადიოდა სოფლებში და ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას. გარდა აღნიშნულისა, როგორც "ალიანსი საქართველოსთვის" წევრებმა აღნიშნეს, საკრებულოს უფროსი აივაზ ისმაილოვი, მისი მოადგილე მამუკა დორეული და ყოფილი გამგებელი ზაზა დეკანოიძე, რომელიც ჯერ კიდევ სარგებლობდა სამსახურეობრივი ავტომობილით და ოფისით, უკანონოდ იყენებდნენ ადმინისტრაციულ რესურსებს. მოგვიანებით ზაზა დეკანოიძემ განმარტებები გააკეთა და უარყო მის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები. ბატონი დეკანოიძის თქმით, ყოფილმა გამგებელმა თანამდებობა დატოვა და შესაბამისად უფლება ჰქონდა ეწარმოებინა წინასაარჩევნო სააგიტაციო კამპანია.

გარდა აღნიშნულისა, "ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოხატავენ იმ ფაქტის გამო, რომ ბოლნისის რაიონის საჯარო მოხელეები მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი რათა ხმა მიეცათ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის".

წინასაარჩევნო კამპანია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული 19 პარტიიდან/ბლოკიდან სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში

წარმოდგენილი (კანდიდატების წარდგენისა და საარჩევნო კამპანიის წარმოების თვალსაზრისით) იყვნენ მხოლოდ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", "ალიანსი საქართველოსთვის" "თოფაძე-მრეწველები", "თორთლაძე - დემოკრატიული პარტია", "თარგამაძე, გრიგოლია - ქრისტიან - დემოკრატიული გაერთიანება" და "ეროვნული საბჭო".

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნულ რეგიონებში მხოლოდ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" გამოირჩეოდა წინასაარჩევნო კამპანიის აქტიურად წარმოების მაღალი დონით. აღნიშნული განპირობებული იყო პარტიის მზარდი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების მზარდი შესაძლებლობებით.

რეგიონებში წარმოდგენილი ძირითადი პოლიტიკური პარტიების/ბლოკების მიერ გაკეთებული კომენტარების ანალიზმა ცხადყო, რომ ოპოზიციურ პარტიებს არ გააჩნდათ სათანადო ფინანსური შესაძლებლობები, ასევე საკადრო რესურსები, რათა აქტიური საარჩევნო კამპანია ეწარმოებინათ რეგიონებში და შესაბამისად შეხვედრები გაემართად ადგილობრივ ამომრჩევლებთან. გამომდინარე აღნიშნულიდან, პოლიტიკური სუბიექტების ძირითადი რესურსები მიმართული იყო ქვეყნის დედაქალაქსა და თვითმმართველ ქალაქებში კამპანიის საწარმოებლად. ამ ფონზე, გარკვეული პარტიების რეგიონალურ წარმომადგენლობებს გააჩნდათ პრობლემა რათა რეგიონებში განეთავსებინათ საჭირო ვიზუალური სააგიტაციო მასალები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პოლიტიკური პარტიები რეგიონებში აღმოჩნდნენ არა კონკურენტუნარიან გარემოში ჩაყენებულნი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მხოლოდ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" აწარმოებდა წინასაარჩევნო კამპანიას უმცირესობებისათვის გასაგებ ენაზე (სომხური ენა) - სააგიტაციო მასალები, მათ შორის პოსტერები, რადიო და სატელევიზიო პოლიტიკური კლიპები ითარგმნა და ვრცელდებოდა უმცირესობათა ენაზე. რაც შეეხება ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, ფინანსური პრობლემების გამო მათ ვერ შესძლეს მსგავსი ხასიათის საქმიანობათა წარმოება.

როგორც "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათ არ გააჩნდათ საჭირო ოდენობის ფინანსური შესაძლებლობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. პარტიას, რომელიც გახლდათ საარჩევნო ბლოკის "ეროვნული საბჭოს" ერთერთი მონაწილე არჩევნების დღემდე არ ჰქონდა მიღებული სათაო ოფისიდან საჭირო ვიზუალური ბეჭდვითი პროდუქცია, რათა დაერიგებინა ამომრჩევლებთან ორგანიზებულ შეხვედრებზე და შესაბამისად ვერ უზრუნველყო პოსტერების განთავსება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

მსგავსი ხასიათის სურათს ვაწყდებოდით ქვემო ქართლის რეგიონშიც. პარტიების უმრავლესობას არ ჰქონდა სათანადო ფინანსური რესურსები ბეჭდვითი პროდუქციის დასამზადებლად. შესაბამისად, რეგიონში პოლიტიკური ოპოზიციის მიერ წარდგენილ მაჟორიტარობის კანდიდატებს არ ჰქონდათ გაკრული ან დარიგებული თავიანთი სააგიტაციო ბეჭდვითი პროდუქცია, რამაც საბოლოო ჯამში გავლენა იქონია მათი პოლიტიკური ცნობადობის ხარისხზე.

ქვემო ქართლის რეგიონში ექვსი პოლიტიკური პარტიიდან მხოლოდ ერთმა - "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" წარადგინა პარტიის საპროგრამო პრინციპები ეთნიკური უმცირესობის ენაზე - აზერბაიჯანულად. დანარჩენი პარტიები აცხადებდნენ, რომ ფინანსური რესურსების სიმწირის გამო არ შეეძლოთ პოლიტიკური პროგრამებისა და კონცეფციების თარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე. "თორთლაძე - დემოკრატიულ პარტიას", "ქრისტიან-დემოკრატებს", "თოფაძე-მრეწველებსა" და "ეროვნულ საბჭოს" არც უცდიათ პოლიტიკური პროგრამების თარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე.

ხაზგასმას საჭიროებს ის გარემოება, რომ როგორც "მრავალეროვანი საქართველოს" რეგიონალური დამკვირვებლები აღნიშნავენ, თითქმის ყველა პოლიტიკური სუბიექტი, მათი ჩათვლითაც კი, ვინც ინტენსიურად იყვნენ ჩართულნი ადგილობრივ დონეზე, ადექვატურად არ ეხმიანებოდნენ (თუ საერთოდ არა) უმცირესობათა საჭიროებებს, ინტერესებს, შეხედულებებსა და იდეებს თავიანთი პარტიის (ან ინდივიდუალური მაჟორიტარი კანდიდატების) შესაბამისს პოლიტიკურ პროგრამებსა და კონცეფციებში. ვერ გამოვლინდა ვერც ერთი პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც პარტიის პროგრამაში ასახული ჰქონოდა უმცირესობათა თემების წინაშე მდგარი პრობლემები და შესაბამისად აუდიტორიისათვის შეეთავაზებინა მათი გადაჭრის კონკრეტული მექანიზმები და გზები.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან უმცირესობათა საჭიროებების არცოდნის პრაქტიკა ჯერ კიდევ გრძელდება და როგორც ჩანს დასასრული არ გამოჩნდება, თუ შესაბამისი სამოქალაქო საზოგადოებრივი ღონისძიებები არ იქნება გატარებული. პოლიტიკურმა პარტიებმა პირველ ყოვლისა უნდა სიღრმისეულად გაითვითცნობიერონ ადგილობრივი თემების წინაშე მდგარი პრობლემები, საჭიროებები და გამოწვევები და შემდგომ შეეცადონ იპოვონ მათი დამღევის კონკრეტული გზები და ყოველივე აღნიშნული გაითვალისწინონ თავიანთ პოლიტიკურ დოკუმენტებში. გარდა აღნიშნულისა, პოლიტიკურმა პარტიებმა უფრო ხშირად უნდა მოაწყონ შეხვედრები ადგილობრივ ამომრჩევლებთან, რათა მათ გააცნონ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, უკეთ აუხსნან მათთვის მრავალი საკითხის აქტუალურობა და შესაბამისად აამაღლონ ამომრჩეველთა პოლიტიკური ცნობიერების დონე.

და ბოლოს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ისევე როგორც ქვემო ქართლის რეგიონში) ოპოზიციური პოლიტიკური სუბიექტების დაბალ აქტიობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ტენდენცია. ოპოზიციის მიერ 2010 წელს გაქდერებული ინიციატივის თანახმად, საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები. ამ ცვლილებების შესაბამისად პირველად, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს უფლება აქვთ აირჩიონ კომისიის მდივანი ოპოზიციური პარტიებიდან.

როგორც აღმოჩნდა ქ. ბორჯომში წარმოდგენილმა ოპოზიციურმა პარტიებმა უარი განაცხადეს საარჩევნო კომისიის მდივნების დანიშვნაზე სხვადასხვა მიზეზების გამო. მხოლოდ სამი კანდიდატი იქნა დასახელებული "თოფაძე-მრეწველებისა" და "გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების"

მიერ. საუბნო საარჩევნო კომისიების დანარჩენი 24 მდივანი წარდგენილ იქნა პოლიტიკური პარტიის "ჩვენ თვითონ"-ის მიერ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კომისიების მდივნები პასუხისმგებლები არიან ელექტორალური საკითხების ფართო სპექტრზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის გავრცელებაზე და არჩევნებთან დაკავშირებით სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღებაზე. ამდენად, საარჩევნო კომისიის მდივანს ეკისრება მნიშვნელოვანი ფუნქცია საარჩევნო ადმინისტრაციაში და გარკვეული გავლენა აქვს არჩევნების სამართლიანად ჩატარებაზე.

საინტერესოა, რომ "თოფაძე-მრეწველების" ბორჯომის რაიონული ორგანიზაციის უფროსის ბესო ფოფხაძის განცხადებით, ოპოზიციური პარტიები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ საკუთარი ინიციატივის განსახორციელებლად, ანუ საარჩევნო კომისიის მდივნის ფუნქციების ასაღებად. როგორც მან აღნიშნა, ოპოზიციურ პარტიებს არ გააჩნიათ საკმარისი რაოდენობის კომპეტენტური და განსწავლული წევრები, რომლებიც შესაძლოა წარდგენილ ყოფილიყვნენ კომისიის მდივნის პოსტის დასაკავებლად.

საარჩევნო პროცესში ადგილობრივი თემების ჩართულობა

როგორც წინა საარჩევნო პროცესების მონიტორინგმა ცხადყო ადგილობრივი მოსახლეობის ელექტორალური ჩართულობის დონე სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში გახლდათ დაბალი და შესაბამისად არა დამაკმაყოფილებელი. აღნიშნული შესაძლოა ნაწილობრივ აიხსნას საარჩევნო ადმინისტრაციისა და როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მოსახლეობაში დამკვირდებული უნდობლობისა და ნიჰილიზმის არსებობით.

ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ფაქტებიდან და არსებული მტკიცებულებებიდან ნათლად სჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ადგილობრივი მოსახლეობა არჩევნებს არ აღიქვავს მათ ცხოვრებაში გადამწყვეტ და ცვლილებების მომტან მოვლენად - ადგილობრივი თემების წარმომადგენელთა შორის ჩამოყალიბებული ზოგადი რწმენა მნიშვნელოვნად აქვეითებს საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობის ხარისხს. მოსახლეობას ღრმად სწამს, რომ მათი პრობლემები და საჭიროებები რეალურად არ არის აღქმული და გათვალისწინებული და არჩევნების დასრულების შემდგომ პოლიტიკური პარტიების ყველა დაპირება დავიწყებას მიეცემა. გამომდინარე აღნიშნულიდან, ადგილობრივი თემების წარმომადგენლები არჩევნებს განიხილავენ როგორც დროის, ფინანსური რესურსებისა და ენერჯის ფუჭად ხარჯვას - როგორც ისინი ჩივიან "ჩვენს გულისტკივილს არავინ მოისმენს და არც გაითვალისწინებენ".

"მრავალეროვანი საქართველოს" ადგილობრივი დამკვირვებლებისაგან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, პოლიტიკურ პარტიებსა და ასევე საარჩევნო სუბიექტებს რეალურად არ სურთ ეთნიკური უმცირესობების თემების პრობლემებისა და საჭიროებების გათვალისწინება თავიანთ პოლიტიკურ პლატფორმებსა და საპროგრამო დოკუმენტებში. აღნიშნული ტენდენცია შესაძლოა გარკვეულ წილად

ახსნას პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან რეგიონში ეთნიკური უმცირესობების თემების წინაშე მდგარი რეალური პრობლემების უცოდინრობით, ან ნებელობის არასაკმარისი ხარისხით, რათა გააშუქონ უმცირესობათა პრობლემები, იმდენად, რამდენადაც პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ყოველივე ეს უსარგებლოა და დიდ დროსა და ფინანსებს მოითხოვს.

გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ არცერთი სააგიტაციო სტენდი არ იქნა აღმართული რეგიონების სოფლებში, რამაც კიდევ ერთხელ გააძლიერა ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა იმის შესახებ, რომ პოლიტიკური პარტიები არ მიიჩნევენ სოფლის მოსახლეობას მათი პოლიტიკური გზავნილების უმთავრესს ადრესატად. მხოლოდ მცირე რაოდენობის სარეკლამო დაფები იყო განთავსებული რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში, რომელთა უმრავლესობაც ეკუთვნოდა მმართველ პარტიას "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას".

საინტერესოა ისიც, რომ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა არ იცოდნენ თუ რა სახის არჩევნები ტარდებოდა რეგიონებში. მაგალითისათვის, ქვემო ქართლის რეგიონში ზოგს ეგონათ, რომ ტარდებოდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, სხვები კი ფიქრობდნენ, რომ ირჩევდნენ ქ. თბილისის მერს. ირონიულია, რომ "მრავალეროვანი საქართველოს" მიერ ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარებული კვლევის თანახმად, ათი გამოკითხულიდან მხოლოდ ერთმა გასცა სწორი პასუხი კითხვაზე: "რა სახის არჩევნები ტარდება რეგიონში?". ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განმარტებით ამგვარი არასასიამოვნო რეალობა ნაწილობრივ იმის ბრალიცაა, რომ დონორი ორგანიზაციებისაგან მიღებული დახმარებები, რომლებიც გამიზნული იყო რეგიონში ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად, მნიშვნელოვნად შემცირდა.

საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ფუნქციონირებენ შემდეგი მედია საშუალებები:

ახალციხე:

- სატელევიზიო კომპანია "მე-9 არხი";
- გაზეთი "სამხრეთის კარიბჭე", რომელიც ასევე ვრცელდება ახალქალაქსა და ნინოწმინდაში.

ბორჯომი: სატელევიზიო კომპანია "ბორჯომი"

ასპინძა: ადგილობრივი მედია საშუალება არ არსებობს

ადიგენი: ადგილობრივი მედია საშუალება არ არსებობს

ნინოწმინდა: ადგილობრივი მედია საშუალება არ არსებობს

ახალქალაქი: სატელევიზიო კომპანია "ატვ -12"

ადგილობრივი მედია საშუალებები ღია იყო პოლიტიკურ სუბიექტებს შორის პოლიტიკურ ბრძოლასთან დაკავშირებით ნებისმიერი საკითხის და მათი პოლიტიკური კამპანიის ძირითადი მოვლენების, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების შეხედულებების გასაშუქებლად. ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ეთმობოდა თანაბარი დრო. აღნიშნული ტენდენციისა და ფაქტის მართებულობასა და სისწორეს თავად პოლიტიკური პარტიებიც ადასტურებენ.

პოლიტიკური პარტიები/ბლოკები კმაყოფილნი იყვნენ მათთვის გამოყოფილი საეთერო დროით, ასევე სარეკლამო კლიპების განსათავსებლად დაწესებული ფასებით. მიუხედავად აღნიშნულისა, საარჩევნო პროცესის დროულ და ინტენსიურ გაშუქებას მნიშვნელოვნად აფერხებდა პოლიტიკური სუბიექტების პასიურობა დროულად და სათანადოდ მიეწოდებინათ მედია საშუალებებისათვის მათი საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია და მასალები.

უფრო მეტიც, პოლიტიკური პარტიები და მაჟორიტარი დეპუტატები არ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული აქტიურობით რათა შეემუშავებინათ და განეთავსებინათ თავიანთი პოლიტიკური ვიდეო რგოლები. უმეტესს შემთხვევებში ადგილობრივი სატელევიზიო კომპანიები გადასცემდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებულ სოციალურ და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ ვიდეო კლიპებს.

საარჩევნო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა არადაამაკმაყოფილებელი იყო ქვემო ქართლის რეგიონში. როგორც საზოგადოდ არის მიჩნეული, წინასაარჩევნო კამპანიის საინფორმაციო უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ამომრჩეველმა შესძლოს გააზრებული არჩევანის გაკეთება. თუმცა ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ფაქტებიდან და მტკიცებულებებიდან ნათლად სჩანს, რომ რეგიონში არსებობს კომუნიკაციის უკიდურესად მწირე შესაძლებლობა, რომელიც საშუალებას არ იძლეოდა მოსახლეობისათვის მიწოდებულიყო სრულფასოვანი ინფორმაცია დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან მიმართებაში.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, რეგიონში ინფორმაციის მიღების უმთავრეს საშუალებას სატელევიზიო ანტენებისაგან მიღებული პროგრამები წარმოადგენენ რომლებიც არ ტრანსლირებენ ნაციონალურ არხებსა და პროგრამებს. შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სრულ საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფება, რაც თავის მხრივ ნეგატიურად იმოქმედებდა არჩევნების საბოლოო შედეგებზე - მოსახლეობა ხმას მხოლოდ მმართველ პარტიას მისცემდა, იმდენად, რამდენადაც მხოლოდ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მართავდა მოსახლეობასთან უშუალო, პირისპირ შეხვედრებს და იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსებს, მაშინ როდესაც ოპოზიციურ პარტიებს არ გააჩნდათ საინფორმაციო საშუალებები თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებისა და დაპირებების გასავრცელებლად.

ერთადერთმა ტელეკომპანიამ რომელიც მარნეულში ფუნქციონირებს, შეწყვიტა მაუწყებლობა აზერბაიჯანულ ენაზე, წარმოქმნილი ფინანსური პრობლემების გამო. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მხოლოდ მმართველმა პარტიამ "ერთიანმა

ნაციონალურმა მოძრაობამ” თარგმნა საარჩევნო პროგრამა აზერბაიჯანულ ენაზე. ”ალიანსი საქართველოსთვის” ადგილობრივი ლიდერისა და ბოლნისის საარჩევნო ოლქში ბლოკის კანდიდატის დავით ასლანიძის განცხადებით, პარტიას არ გააჩნდა პრობლემები ადგილობრივი ტელეკომპანიის (“მეხუთე არხი”) საშუალებით გაეშუქებინა ”ალიანსი საქართველოსთვის” მიერ განხორციელებული საქმიანობები. ტელეკომპანია გადასცემდა არჩევნებთან მიმართებაში ალიანსის მიერ მომზადებულ სატელევიზიო განცხადებებს ქართულ ენაზე.

საარჩევნო ადმინისტრაცია

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ზოგადად საარჩევნო ადმინისტრაციის ხელთ არსებული ყველა სახის ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი იყო ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ხორციელდებოდა საარჩევნო სიებში კორექტივების შეტანისათვის კანონით დადგენილი საჭირო პროცედურები; გარდაცვლილი პირები ამოღებულნი იყვნენ ამომრჩეველთა სიებიდან. გარდა აღნიშნულისა, კომისიები უზრუნველყოფდნენ სიებში შეცდომების გასწორებასა და ასევე საარჩევნო მონაცემთა ბაზაში გამოტოვებული პირების დამატებას.

ამომრჩეველთა სიები გაკრული იყო საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობის შესაბამის ადგილებში წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში, როგორც ამას კანონი ითვალისწინებდა. მიუხედავად აღნიშნულისა, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და ამომრჩევლებს შორის გამართული შეხვედრების ინტენსიობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. სათანადო რაოდენობით არ იქნა დარიგებული მოსახლეობაში საარჩევნო სააგიტაციო ბეჭდვითი პროდუქცია.

ეთნიკური უმცირესობების თემებისათვის დამახასიათებელი სპეციფიური მოთხოვნები ადექვატურად იქნა ასახული საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში: საუბნო საარჩევნო კომისიების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები დაიბეჭდა სომხურ და რუსულ ენებზე, ბიულეტენები დაიბეჭდა ქართულ და სომხურ ენებზე.

წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა ასევე დამაკმაყოფილებელი იყო ქვემო ქართლის რეგიონშიც. მიუხედავად აღნიშნულისა გარკვეული პრობლემები იქნა გამოვლენილი. როგორც ”ქრისტიან-დემოკრატებისა” და ”ალიანსი საქართველოსთვის” ადგილობრივმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, ცენტრალური საარჩევნო კომისია მთლიანად პასუხისმგებელი უნდა იყოს მოსახლეობის ინფორმირებულობაზე და შესაბამისად უნდა უზრუნველყოს არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების ფართოდ გაშუქება უმცირესობათა ენაზე. 1 მაისიდან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო საინფორმაციო ვიდეო-რგოლების გადაცემა ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე მარნეულის ადგილობრივი ტელეარხით. საინფორმაციო პროგრამები კი ტელეარხით მხოლოდ ქართულ ენაზე გადაიცემოდა.

რაც შეეხება ადგილობრივ ამომრჩევლებთან საინფორმაციო შეხვედრების გამართვას, მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიამ უპირატესობა მიანიჭა საარჩევნო მასალების სტენდებსა და დაფებზე განთავსებას და ადგილობრივი ამომრჩევლების

საინფორმაციო მომსახურებას მხოლოდ კომისიის ოფისში, ნაცვლად იმისა, რომ მოსახლეობაში გასულიყო და გაემართა საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები სოფლებში და სხვა დასახლებულ უბნებში.

გარკვეული პრობლემები არსებობდა ამომრჩეველთა სიებთან მიმართებაშიც წალკის რაიონის სოფელ ნარდევანში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 650-დან (დაფიქსირებული საპარლამენტო არჩევნებისათვის) 940-მდე გაიზარდა, რაც არ შეესაბამებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა რეალურ ოდენობას. საუბნო საარჩევნო კომისიის ოფისი დაკეტილი იყო და ამომრჩეველთა სიები გამოკრული იყო ერთერთი ადგილობრივი მაღაზიის ვიტრინაზე, რომელიც ეკუთვნოდა ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ადგილობრივ მაჟორიტარ კანდიდატს ბატონ სამსონ თამარიანს.

არჩევნების დღე

დილის 8 საათისათვის საარჩევნო უბნები ზემოაღნიშნულ რეგიონებში გახსნილი იყო. მიუხედავად აღნიშნულისა გამოვლენილი იქნა საარჩევნო პროცედურების დარღვევის გარკვეული ფაქტები.

პროცედურული დარღვევები და საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებები

სოფელ კუმურდოს (ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქი) საარჩევნო უბანი დაგვიანებით გაიხსნა. გარდა აღნიშნულისა, ადგილი ჰქონდა ამომრჩეველის მხრიდან მცდელობას ხმა მიეცა ოჯახის წევრთა სახელით.

სარეგისტრაციო ჟურნალი არ გახლდათ ნამდვილი (არ შეესაბამებოდა ც.ს.კ. მიერ დამტკიცებულ ეგზემპლარს) ახალქალაქის 2-ე საარჩევნო უბანზე. გარდა აღნიშნულისა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს არ ჰქონდათ უფლებამოსილების განხორციელების დამადასტურებელი საიდენტიფიკაციო ნიშნები.

სოფელ ხანდოში ადგილობრივი საარჩევნო უბნის კომისიის წევრები არ იყვნენ ინფორმირებულნი, თუ როგორ გამოეყენებინათ საკონტროლო ფურცელი (რომელიც კანონის შესაბამისად თავსდება საარჩევნო ურნაში ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე).

რამოდენიმე საარჩევნო უბანში წარმოიქმნა ტექნიკური ხასიათის პრობლემები. მარნეულის რაიონის ერთ-ერთ უბანზე მწყობრიდან გამოვიდა მარკირების ამომცნობი აპარატი, უბანი დაიკეტა მარკირების აპარატის გამოცვლამდე (მარნეულის რაიონი სოფელი კიზილაჯლო, 22-ე ოლქი, უბანი 49).

თეთრი წყაროს რაიონის ერთ-ერთი უბნის (უბანი 2, ოლქი 26) დამკვირვებლებმა დააფიქსირეს პრობლემა საკონტროლო ფურცლებთან დაკავშირებით. საკონტროლო ფურცლები, რომლებიც თვითკოპირებადია ორიგინალიდან ორ ასლად, აისახებოდა მხოლოდ ერთ ასლზე. არსებული პრობლემის თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობა საოლქო საარჩევნო კომისიას.

გარდა აღნიშნულისა, გარდაბნის რაიონის სოფელ თაზაქენდში, ერთერთ უბანზე (უბანი 25, ოლქი 21) მისული ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ("ეროვნული საბჭო") ითხოვდნენ უბნის დახურვას და ამტკიცებდნენ, რომ კომისიის წევრებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ.

კატნატუს 20-ე საარჩევნო უბანზე (ნინოწმინდის 41-ე საარჩევნო ოლქი) ორ რეგისტრატორს ერთი ბაჭედი ჰქონდა. სამხედრო მოსამსახურეთა სიაში გათვალისწინებული იყო 25 ამომრჩეველი, ხმა მისცა 26-მა. აღნიშნული ფაქტი გასაჩივრდა დამკვირვებლების მიერ.

მარკირების პროცედურის იგნორირება, განმეორებითი და მრავალჯერადი ხმის მიცემა, საარჩევნო ურნაში ერთჯერადად საარჩევნო ბიულეტენების დიდი რაოდენობით ჩაყრა, ხმის მიცემა ოჯახის წევრთა სახელით

სოფელ ვაჩიანში, ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქში ერთ ამომრჩეველს მისცეს ბიულეტენის 8 კომპლექტი, რომელიც შემდგომ მის მიერ მოთავსებული იქნა საარჩევნო ურნაში.

სოფელ კულიკამის საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების წარდგენის გარეშე მიმდინარეობდა.

სოფელ ყარაჯალარის 58-ე საარჩევნო უბანზე ერთი და იმავე ამომრჩეველმა ორჯერ მისცა ხმა.

როგორც ორგანიზაციის დამკვირვებლებს "ალიანსი საქართველოსთვის" ახალციხის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ქალბატონმა თამარ გოგოლაძემ განუმარტა უპრეცედენტო რაოდენობის ხმის მიცემა დაფიქსირდა ახალციხის რიგ უბნებში. მისი განმარტებით წარმოუდგენელია დროის მოკლე მონაკვეთში საარჩევნო უბანს ამდენი რაოდენობის ამომრჩევლები გაეტარებინა (თუ გავითვალისწინებთ დროის იმ მონაკვეთს რომელიც საჭიროა თითოეული ამომრჩევლის მომსახურებისათვის).

ქალბატონი თამარის ინფორმაციით ახალციხის მე-8 უბანზე დილის 11 საათისათვის ხმა მისცა 156 ამომრჩეველმა; მე-2 უბანზე 136; 21-ე უბანზე 250; 22-ე უბანზე 180; 19-ე უბანზე 150; 14-ე უბანზე 107 (9:30); 37-ე უბანზე 201; 30 უბანზე 200; 31-ე უბანზე 160 და 24 უბანზე 300 ამომრჩეველმა.

ახალქალაქის 37-ე საარჩევნო ოლქის მე-3 საარჩევნო უბანზე ერთ-ერთ უცნობ მოქალაქეს მცდელობა ჰქონდა ხელმეორედ მიეცა ხმა. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ამომრჩევლებს რეგისტრაციაში ატარებდნენ და შესაბამისს ხელმოწერებსა და ბეჭდებს სვავდნენ ჟურნალში, გასცემდნენ საარჩევნო ბიულეტენსა და კონვერტს, ისე რომ რეალურად ამომრჩეველი არ გამოცხადებულა უბანზე, რითაც ხელოვნურად ცდილობდნენ აემალლებინათ არჩევნებზე ამომრჩეველთა გამოცხადების რიცხოვნობა - სტატისტიკა.

პირადობის დამადასტურებელი მოწმობების წარდგენის გარეშე ხმის მიცემისა და ოჯახის წევრების სახელით არჩევნებში მონაწილეობის მიღების პრევენდენტებს მთელი დღის განმავლობაში ჰქონდა ადგილი ახალქალაქისა და ნინოწმინდის საარჩევნო ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე.

ორჯის 14-ე საარჩევნო უბანზე (ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქი) კომისიის წევრები უშუალოდ ყრიდნენ შევსებულ ბიულეტენებს საარჩევნო ურნებში.

ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქის მე-3 საარჩევნო უბანზე ამომრჩევლები ერთის ნაცვლად რამოდენიმე ბიულეტენს ყრიდნენ საარჩევნო ურნაში. ანალოგიური ვითარება აღინიშნა სოფელ არაგვას 12-ე საარჩევნო უბანზე.

გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის სოფელ ყარაჯალარის 58-ე საარჩევნო უბანზე ერთი და იმავე ამომრჩეველმა 3 ჯერ მისცა ხმა. უბანზე დაფიქსირდა 3 არასრულწლოვანი ამომრჩეველი. უბანზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ მუშაობდა მარკირების აპარატი, თუმცა უბანი აღნიშნულის გამო არ დახურულა. ასევე, დილიდან, რამოდენიმე საათის განმავლობაში საარჩევნო უბანს არ მიეწოდებოდა ელექტრო ენერჯია. კენჭისყრა მიმდინარეობდა შეუსაბამო სივრცეში - კომისიის წევრები ისხდნენ ერთ ოთახში, ხოლო საარჩევნო ურნა განთავსებული იყო მეორე ოთახში. აღნიშნულ ფაქტზე დაიწერა საჩივარი.

მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის სოფელ სადახლოს 29-ე საარჩევნო უბანზე ერთი და იმავე ადამიანმა რამოდენიმეჯერ მისცა ხმა.

გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის 29-ე საარჩევნო უბანზე დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ ერთი და იმავე ადამიანმა რამოდენიმეჯერ მისცა ხმა. დამკვირვებლებს ასევე გაუჩნდათ ეჭვი, რომ ოთახიდან გატანილ იქნა რამოდენიმე გამოუყენებელი ბიულეტენი.

ბუზავეთის 38-ე (ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქი) საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა ერი და იმავე პიროვნების მიერ რამოდენიმეჯერ ხმის მიცემის მცდელობას, რომელიც დამკვირვებლების ჩარევის შემდგომ აღკვეთილ იქნა.

ზაკვის 28-ე (ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქი) საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა საარჩევნო ურნაში ერთი ამომრჩევლის მიერ რამოდენიმე ბიულეტენის ერთდროულად ჩაგდების ფაქტს. საარჩევნო უბნის კომისია უარს აცხადებდა "მრაველეროვანი საქართველოს" დამკვირვებლებისაგან მიეღო საჩივრები. ასევე დამკვირვებლების მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებს.

ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქის 63-ე საარჩევნო უბანზე არ იყენებდნენ მარკირების სითხესა და აპარატს. აღნიშნულის თაობაზე დამკვირვებლების მიერ შეტანილ იქნა საჩივარი.

გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის სოფელ ყარაჯალარის 58-ე საარჩევნო უბანზე ერთ-ერთმა კომისიის წევრმა ხმის მიცემის დროს, როდესაც იგი ბიულეტენს კონვერტში ათავსებდა აღმოაჩინა, რომ კონვერტში მოთავსებული იყო დიდი რაოდენობით

შემოხაზული ბიულეტენები (ნომერი 5). აღნიშნული ფაქტი გაპროტესტებულ იქნა ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ.

მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის ყიზილაჯლოს 49-ე საარჩევნო უბანზე მოქალაქე ზაქირ აბდუნაევმა რამოდენიმეჯერ მისცა ხმა. დამკვირვებელთა გაპროტესტების საფუძველზე მოქალაქემ ბრძანა, რომ იგი უბანზე გამოცხადდა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დავალების საფუძველზე, რათა ხელმეორედ მიეცა ხმა მე-5 ნომრის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რიგითი ნომერი) სასარგებლოდ.

აბათხევის 25-ე საარჩევნო უბანზე (ახალციხის 37-ე საარჩევნო ოლქი) არ იყო საკმარისი ოდენობის მარკირების სითხე, რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიამ შესაბამისი ოდენობით არ გამოყო.

ნინოწმინდის 41-ე საარჩევნო ოლქის სათხის საარჩევნო უბანს გარეთა მხრიდან ეწერა ნომერი 25, მაგრამ ყველა საარჩევნო დოკუმენტაციაზე მითითებული იყო ნომერი 26. ნახევარი დღის განმავლობაში აღნიშნულ უბანზე არ წარმოებდა ამომრჩეველთა მარკირება. გარდა აღნიშნულისა, საარჩევნო ურნის ლუქი მოხსნილი იყო გარკვეული დროის განმავლობაში, შემდეგ კი დაილუქა. აღნიშნული ფაქტი გასაჩივრებული იქნა საოლქო კომისიაში უბანზე კენჭისყრის შედეგების გაუქმების მოთხოვნით.

კორხის 15-ე საარჩევნო უბანზე (ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქი) დამკვირვებლების მიერ იდენტიფიცირებული იქნა ფაქტი, რის შესაბამისადაც საუბნო კომისიის წევრები დიდი ოდენობით ყრიდნენ საარჩევნო ბიულეტენებს საარჩევნო ყუთში. აღნიშნული ფაქტი გადაღებული იქნა ვიდეო კადრზე დამკვირვებლების მიერ რომელიც შემდგომში დამატებით იქნა გავრცელებული "მრაველეროვანი საქართველოს" მიერ. აღნიშნული ფაქტის თაობაზე მომზადებული საჩივარი შეტანილი იქნა საოლქო საარჩევნო კომისიაში კორხის უბნის შედეგების გაბათილების მოთხოვნით.

მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის სოფელ ყიზილაჯლოს 48-ე საარჩევნო უბანზე დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ ერთი და იმავე ამომრჩეველმა რამოდენიმეჯერ მისცა ხმა. აღნიშნულ ფაქტზე დაიწერა საჩივარი.

გარდაბნის 21-ე საარჩევნო ოლქის სოფელ თაზაქენდის 25-ე საარჩევნო უბანზე ერთი და იმავე ამომრჩეველმა ორჯერ მისცა ხმა. გარდა აღნიშნულისა, ამ უბანზე ადგილი ჰქონდა რიგ დარღვევებს: იმის გამო რომ კომისიის წევრებმა არ იცოდნენ ქართული ენა უჭირდათ სარეგისტრაციო ჟურნალისა და საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოება, რის გამოც არაერთხელ იქნა შეტანილი შესწორებები (გადასწორებები) აღნიშნულ დოკუმენტებში; ქართული ენის უცოდინარობის გამო საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობას დანიშნული პიროვნების ნაცვლად ასრულებდა კომისიის წევრი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან"; საარჩევნო უბნის გახსნისას საარჩევნო ურნაში საკონტროლო ფურცლის ჩაგდებას არ დასწრებია კომისიის რიგი წევრები და დამკვირვებლები; გადასატანი ყუთისათვის რეგისტრირებული იყო 80 ამომრჩეველი, მაგრამ გადასატან ყუთს მიმაგრებულ წევრებს გაატანეს 30 ბიულეტენი მაჟორიტარული წესით კანდიდატთა ასარჩევად და 150 ბიულეტენი პროპორციული სიით დეპუტატთა ასარჩევად (რომელთაგანაც 120 უკან იქნა დაბრუნებული) -

შესაბამისად ხმა მისცა მხოლოდ 30 ამომრჩეველმა, ნაცვლად წინასწარ გაცხადებული 80 ამომრჩეველისა. უბნის გახსნისას კომისიის თავმჯდომარეს არ აღმოაჩნდა ბეჭდის ბალიში რის გამოც უბანი გაიხსნა დაგვიანებით 8:30. ყველა აღნიშნული დარღვევის თაობაზე მომზადებული და წარდგენილ იქნა 5 საჩივარი.

მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოს 29-ე საარჩევნო უბანზე მეორდებოდა ერთი და იმავე ამომრჩეველის მიერ რამოდენიმეჯერ ხმის მიცემის ფაქტები. ასევე ადგილი ჰქონდა ამომრჩეველის მიერ სხვისი პასპორტის წარდგენას და შესაბამისად ხმის მიცემის ფაქტს. საარჩევნო უბანზე ღიად წარმოებდა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აგიტაცია (რაც წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას) და ადგილი ჰქონდა ამომრჩეველებისადმი სიტყვიერი შენიშვნის გაკეთების ფაქტებს, რომ ხმა მიეცათ სწორედ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის კანდიდატებისათვის.

ბუზავეთის 38-ე (ახალქალაქის 40-ე საარჩევნო ოლქი) საარჩევნო უბნის დახურვის შემდგომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა დაიწყეს ბიულეტენების ჩაყრა საარჩევნო ურნაში. აღნიშნულ ქმედებას იმით ხსნიდნენ, რომ ხმას აძლევდნენ თავისი და ოჯახის წევრების სახელით. როგორც შემდგომ გაირკვა მათ არ იცოდნენ ჰქონდათ თუ არა ამის უფლება.

აღნიშნულ უბანზე შედგენილ ოქმს აკლდა რეგისტრატორის ინდივიდუალური ბეჭდის ნომერი. ამგვარი სახით ოქმი ჩაბარებული იქნა საოლქო საარჩევნო კომისიაში. აღნიშნული ფაქტი გაპროტესტებული იქნა დამკვირვებლების მიერ. უბნის კომისიის თავმჯდომარემ ჰოვიკ აკოპიანმა დამკვირვებლებს უარი განუცხადა ოქმის ასლის გადაცემაზე.

ბუზავეთის 38-ე საარჩევნო უბანზე კომისიის მდივანმა 12:00 უარი განაცხადა ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერების დათვლაზე. ხსენებულ უბანზე გამოცხადდა ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც განაცხადა, რომ დედა ავად ჰყავდა და მის ნაცვლად სურდა ხმის მიცემა. რეგისტრატორმა დამკვირვებელს ჰკითხა ჰქონდა თუ არა გოგონას უფლება ხმა მიეცა დედის სანაცვლოდ. დამკვირვებელმა უპასუხა, რომ კანონი ამას კრძალავდა. მიუხედავად აღნიშნულისა, კომისიის წევრის თანხმობის საფუძველზე გოგონამ ხმა მისცა დედის ნაცვლადაც.

"მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებლებმა საჩივარი შეიტანეს მარნეულის 22-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში იმ საარჩევნო დარღვევის გამო რომელსაც ადგილი ჰქონდა ყიზილაჯლოს 49-ე საარჩევნო უბანზე (ყიზილაჯლოს 49-ე საარჩევნო უბანზე მოქალაქე ზაქირ აბდუნაევმა რამოდენიმეჯერ მისცა ხმა. დამკვირვებელთა გაპროტესტების საფუძველზე მოქალაქემ ბრძანა, რომ იგი მოვიდა მე-5 ნომრის სასარგებლოდ ხელმეორედ ხმის მისაცემად). აღნიშნული ფაქტი თავდაპირველად გასაჩივრდა საუბნო კომისიაში, მაგრამ მას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

საჩივარი ასევე შევიდა გარდაბნის 21-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში, იმდენად რამდენადაც საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული ყარაჯალარის 58-ე საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე. (სოფელ ყარაჯალარის 58-ე საარჩევნო უბანზე ერთი და

იმავე ამომრჩეველმა 3 ჯერ მისცა ხმა. უბანზე დაფიქსირდა 3 არასრულწლოვანი ამომრჩეველი. უბანზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ მუშაობდა მარკირების აპარატი, თუმცა უბანი აღნიშნულის გამო არ დახურულა. ასევე, დილიდან, რამოდენიმე საათის განმავლობაში საარჩევნო უბანს არ მიეწოდებოდა ელექტრო ენერგია. კენჭისყრა მიმდინარეობდა შეუსაბამო სივრცეში - კომისიის წევრები ისხდნენ ერთ ოთახში, ხოლო საარჩევნო ურნა განლაგებული იყო მეორე ოთახში).

და ბოლოს, საჩივარი ასევე წარედგინა გარდაბნის 21-ე საოლქო საარჩევნო კომისიას იმ ფაქტის თაობაზე, რის შესაბამისადაც მე-3 საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარემ ნაცვლად იმისა, რომ კანჭისყრით აერჩია ხმის დამთვლელები კომისიის წევრთა შორის, თავად დაიწყო ბიულეტენების დათვლა უბანზე ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდგომ.

”მრავალეროვანი საქართველოს” დამკვირვებლებსა და სხვა პირებზე განხორციელებული ზეწოლა

ბოლნისის 23-ე საარჩევნო ოლქის, 10-ე საარჩევნო უბანზე არ დაუშვეს ”მრავალეროვანი საქართველოს” დამკვირვებლები და მხოლოდ 2 საათის დაგვიანებით მოხდა მათი უბანზე დაშვება.

47-ე უბანზე, მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქში, კომისიის თავმჯდომარე ხანალიევი დაპატიმრებით და ფიზიკური ზეწოლით ემუქრებოდა ”ალიანსი საქართველოსთვის” კომისიის წევრს გასანოვ შახინს (ეს უკანასკნელი მოითხოვდა საარჩევნო პროცედურების კანონის შესაბამისად ჩატარებას და ხელს უშლიდა კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ხანალიევს კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებაში).

საფარლოს 7-ე საარჩევნო უბანზე (დმანისის 24-ე საარჩევნო ოლქი) არ არეგისტრირებდნენ ”მრავალეროვანი საქართველოს” დამკვირვებელს ხასრად მამედოვს, მიზეზად კი იმას ასახელებდნენ, რომ არ იცოდნენ თუ როგორ ჩატარებინათ აღნიშნული პროცედურა. ფაქტზე დაიწერა საჩივარი.

ბოლნისის 23-ე საარჩევნო ოლქის 34-ე საარჩევნო უბნიდან სიტყვიერი შეურაცმყოფის მიყენების გამო მოხსნეს ოპოზიციური პარტიის მიერ მივლინებული დამკვირვებელი ბატონი მერაბ მოდებაძე.

ბოლნისის 23-ე საარჩევნო ოლქის მე-10 საარჩევნო უბანზე უარი განაცხადეს ნაზიმ ტალიბოვის დამკვირვებლად რეგისტრაციაზე. მიზეზად დასახელდა ის ფაქტი, რომ მის დამკვირვებლის მოწმობაში მითითებული იყო, რომ მას აქვს ყველა უბანზე გადაადგილების უფლება და მისი მხოლოდ ერთ უბანზე ყოფნა დაუშვებელი იყო. მოგვიანებით ნაზიმ ტალიბოვი დარეგისტრირებული იქნა. აღნიშნულ ფაქტზე დაიწერა საჩივარი.

ზოგადად, თვალშისაცემი იყო დიდი რაოდენობის ამომრჩეველთა უბნებთან თავშეყრა, რომლებიც ხვდებოდნენ სამარშუტო ტაქსებს და შელაპარაკებაში

შედიოდნენ ამომრჩევლებთან, ზოგჯერ აგრესიულადაც კი, რაზეც იქ მყოფი პოლიცია არ ახდენდა რეაგირებას.

ბაზავეთის 38-ე, დილისკის 24-ე, ზაკვის 28-ე და ახალქალაქის 63-ე უბნებზე უარს უცხადებდნენ "მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებლებს, რათა მათგან მიეღოთ საჩივრები. აღნიშნული ფაქტები გასაჩივრდა საოლქო კომისიაში.

კორხის 15-ე საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა საარჩევნო ყუთში ბიულეტენების დიდი რაოდენობით ჩაყრის ფაქტს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მხრიდან, რაც დაფიქსირებული იქნა ვიდეო ფირზე. დამკვირვებელთა გაპროტესტების მიუხედავად ამგვარ ქმედებას შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია კომისიის წევრთა მხრიდან.

ხანდოს 62-ე საარჩევნო უბანზე "მრავალეროვანი საქართველოს" დამკვირვებელმა მათა დალაქიშვილმა შენიშნა, რომ ამომრჩეველი ხელმეორედ აპირებდა ხმის მიცემას. მისი ჩარევის შემდგომ ხელმეორედ ხმის მიცემის მცდელობა აღკვეთილ იქნა. მოგვიანებით უბანზე გამოცხადდა სოფლის რწმუნებული და შეეცადა მათა დალაქიშვილზე ზეწოლის მოხდენას. მოგვიანებით სოფლის რწმუნებულმა უბანი დატოვა.

კუმურდოს 49-ე საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა დამკვირვებლებზე ფიზიკური ძალადობის განხორციელების მუქარას. აღნიშნული მუქარა მოდიოდა როგორც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", ასევე "მოძრაობა სამართლიანი საქართველოს" წარმომადგენლებისაგან, რომელთაც დამკვირვებელზე ზეწოლით, დიდ ალბათობით, სურდათ უბანზე პროვოკაციების მოწყობა.

ხავთის 61-ე საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა მიერ ოჯახის წევრების სახელით ხმის მიცემის ფაქტებს. ამომრჩეველები პროტესტს აცხადებდნენ გაეარათ მარკირების პროცედურა. მიუხედავად აღნიშნულისა, პროცესში დამკვირვებელთა ჩარევის შემდგომ ხმის მიცემის იძულებულნი გახდნენ გაეარათ მარკირების პროცედურა.

ხმის დათვლისა და ოქმების შევსების პროცედურები

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო უბნებიდან შესული ოქმების უმეტესობა არ იყო შევსებული კანონმდებლობის შესაბამისად და ვერ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული ტენდენცია ატარებდა მასიურ ხასიათს, რაც ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები არ იყვნენ ადექვატურად მომზადებულნი საარჩევნო პროცედურების ჩასატარებლად (საერთოდ, ნაკლებად ერკვეოდნენ საარჩევნო კანონმდებლობაში) და მათი საარჩევნო ცნობიერების დონე ნამდვილად არ შეესაბამებოდა მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს, მიუხედავად მრავალი სატრენინგო პროგრამისა რომლებიც მათ ჩაუტარდათ საარჩევნო პროცედურების თაობაზე. აღნიშნული პრობლემა დაადასტურა და წუხილი გამოხატა ახალქალაქის საოლქო კომისიის თავმჯდომარემაც. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საუბნო

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები დამოუკიდებლად ვერ ადგენდნენ საარჩევნო დოკუმენტაციას და დახმარებას კომისიის წევრებს თხოვდნენ.

დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირდა არაერთი ფაქტი, როცა საუბნო საარჩევნო კომისიებში შედეგების შეჯამებისას გამოყვანილი პროცენტული მაჩვენებლები არ ჯამდებოდა (მეტი იყო 100 პროცენტზე) და ასევე ოქმებში დაფიქსირებული ამომრჩეველთა რაოდენობა არ შეესაბამებოდა უბნებზე რეალურად გამოცხადებულ ამომრჩეველთა რიცხოვნობას.

კოთელიის 42-ე საარჩევნო უბანზე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ისევე როგორც კომისიის სხვა წევრებს დამოუკიდებლად არ შეეძლოთ ოქმის შევსება. შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარემ შეუვსებელი ოქმი შესავსებად სოფელ ბარალეთში წაიღო. აღნიშნულის თაობაზე მან დამკვირვებლებისაგან შენიშვნა მიიღო, რის შემდგომაც შეუვსებელი ოქმი პირდაპირ ახალქალაქის 40-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში წაიღო.

დილისკის 24-ე საარჩევნო უბანზე გამოცხადდა ახალქალაქის გამგეობის წარმომადგენელი და სურვილი გამოთქვა დასწრებოდა ხმის დათვლის პროცედურას. დამკვირვებლების მიერ გამოთქმული პროტესტის შემდგომ მან დატოვა საარჩევნო უბანი.

დასკვნები და მიღებული გამოცდილება

ძირითადი ტენდენციები და პრობლემები	მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები
<p>ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების გავლენის დაბალი დონე</p>	<p>რეგიონებში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში და უზრუნველყონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება.</p>
<p>ამომრჩეველთა ცოდნისა და შესაბამისი უნარჩვევების სიმწირე ისეთ თემებთან მიმართებაში, როგორებიცაა: საარჩევნო პროცედურები, ამომრჩეველთა უფლებები, პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური პარტიების /ზღოკების საპროგრამო დოკუმენტები, ასევე საარჩევნო პროცესისა და არსის მნიშვნელობა</p>	<p>ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის: მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ხანგრძლივი, ფართო მასშტაბიანი პროგრამების განხორციელებას არჩევნებს შორის პერიოდში, რომლებიც მოემსახურება მოქალაქეთა ცნობიერების დონის ამაღლებას საარჩევნო, სამოქალაქო და პოლიტიკურ საკითხებში.</p> <p>საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის: საჯარო სკოლების მაღალკლასელებისათვის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ამომრჩეველთა ელექტორალურ ცნობიერებაზე მიმართული თემები. საარჩევნო სფეროში საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცნობიერების დონის ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების ხელშეწყობა.</p> <p>საარჩევნო ადმინისტრაციისათვის: განავრცოს არსებული პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებდა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ამომრჩეველთა სპეციალური სამუშაო ჯგუფის ფუნქციონირებას და შესაბამისად უზრუნველყოს აღნიშნული ჯგუფის ქმედითუნარიანობის შემდგომი განვითარება.</p> <p>პოლიტიკური პარტიებისათვის: დამატებითი ძალისხმევა იქნეს გაღებული მოწყვლად ჯგუფებთან, ასევე რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების თემების წარმომადგენლებთან მუშაობაში და შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნული ტიპის ამომრჩეველთათვის მათი პოლიტიკური პროგრამების გაცნობა, ისევე როგორც ადგილობრივ დონეზე</p>

	<p>პოლიტიკური დიალოგის წარმოება და განვრცობა. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ეფექტურად გამოიყენონ ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.</p>
<p>საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა შორის ცოდნისა და უნარჩვევების სიმწირე (განსაკუთრებით საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე), ასევე საარჩევნო პროცესის არსის, თავიანთი უფლება-მოსილებებისა და სამოქმედო მიზნების არაადეკვატური აღქმა</p>	<p>ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე განავითაროს და უფრო ინტენსიური გახადოს სატრენინგო პროგრამა საარჩევნო პროცედურების თაობაზე; • განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართოს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შორის პროფესიული უნარჩვევებისა და ქცევის ეთიკის განვითარებაზე (ტრენინგები, ქცევის კოდექსის ერთობლივი შემუშავება); • საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება (ჯარიმებისა და დისციპლინარული სანქციების დაწესების მუდმივად გამოყენება); • საუბნო და საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით ერთობლივი შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩატარება; • საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისათვის ცნობიერების დონის ამაღლებაზე ორიენტირებული სატრენინგო პროგრამების ჩატარება, რათა მათ სრულფასოვნად აეუხსნათ სადამკვირვებლო ორგანიზაციების მისია, მათი ძირითადი უფლებები და მოვალეობები; • ახალგაზრდობის მოზიდვა და ელექტორალურ პროცესებში ჩართვა. <p>პალიტიკური პარტიებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • აამაღლონ პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კომისიებში დანიშნულ წევრთა ელექტორალური მომზადების დონე და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კომისიაში წარმომადგენლის დანიშვნისა და მისი შემდგომი საქმიანობის მნიშვნელობას. <p>არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეიმუშაონ და განახორციელონ მრავალფეროვანი სპეციალური საგანმანათლებლო და ცნობიერების დონის ამაღლებაზე ორიენტირებული პროგრამები (სხვადასხვა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის სპეციფიურ საჭიროებათა გათვალისწინებით) სხვადასხვა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, სადაც განსაკუთრებული აქცენტი იქნება გადატანილი ენობრივი ბარიერის დაძლევის პრობლემაზე.

<p>დამკვირვებლებზე განხორციელებული წნეხი</p>	<p>ც.ს.კ.:</p> <ul style="list-style-type: none"> • საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება (ჯარიმებისა და დისციპლინარული სანქციების დაწესების მუდმივად გამოყენება); • ც.ს.კ. რეგიონალურ წარმომადგენელთა უფლება-მოსილებათა გაფართოება; • ადმინისტრაციის წევრთა ელექტორალური ცნობიერების დონის ამაღლებაზე დამატებითი ძალისხმევის მიმართვა. <p>საერთაშორისო ორგანიზაციებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაზარდონ ადგილობრივი წარმომადგენლობები და ხელი შეუწყონ ადგილობრივ მისიებს.
<p>საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა და სამართლიანობა</p>	<p>ც.ს.კ.:</p> <ul style="list-style-type: none"> • საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დონეებზე გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დამატებითი ძალისხმევის გაღება; • დისციპლინარული სანქციების დაწესება; • საარჩევნო ადმინისტრაციასა (საოლქო საარჩევნო კომისიათა დონეზე) და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შორის თანამშრომლობის გაფართოება; • საარჩევნო ადმინისტრაციაში აღარ იყვნენ მიწვეულნი ის წევრები, რომლებიც უხეშად არღვევდნენ საარჩევნო კანონმდებლობას. <p>სექტორთაშორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წინაშე დაისვას დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაწესების საკითხი ცენტრალური და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების იმ წარმომადგენელთა მიმართ, რომლებიც ერეოდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში.
<p>საარჩევნო დარღვევებზე შესაბამისი რეაგირების არ ქონა</p>	<p>ც.ს.კ.:</p> <ul style="list-style-type: none"> • დამატებითი ძალისხმევა იქნეს გაღებული საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ელექტორალური ცნობიერების დონის ამაღლებაზე, რომელზედაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციასა და აღკვეთას; • დისციპლინარული სანქციები;

	<p>ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დამკვირვებლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისათვის გამართულ სატრენინგო პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება იქნეს გამახვილებული აღნიშნულ საკითხზე, ასევე დარღვევების გამოვლენის პრევენციისა და მათზე დაუყოვნებლივი რეაგირების აუცილებლობაზე.
<p>საჩივრებზე რეაგირება დარღვევათა გამოკვლევა არაადექვატური და საარჩევნო არასათანადო</p>	<p>ც.ს.კ.</p> <ul style="list-style-type: none"> • აამაღლოს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა ცნობიერების დონე დარღვევათა გასაჩივრების სამართლებრივი ცნების თაობაზე, ასევე არჩევნების სამართლიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად მის მნიშვნელობაზე; • საჩივრების განხილვის პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა მიერ დაშვებული დარღვევების გამოააშკარავების შემთხვევაში მათ მიმართ შესაბამისი დისციპლინარული სანქციების დაწესება; • ც.ს.კ.-მ გამოიჩინოს ინიციატივა და კომისიის ვებ. გვერდზე განათავსოს საოლქო საარჩევნო კომისიებში შეტანილი საჩივრებიც; • დაზუსტდეს საარჩევნო კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს საჩივრების წარდგენისა და განხილვის პროცედურებს; • შემუშავებული იქნეს შიდა პროცედურები, რომლებიც აღკვეთავენ საჩივრებზე პასუხის გაცემის პერიოდის ხელოვნურად განვრცობის პრაქტიკას; • განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჩივრებზე გაცემული პასუხების შინაარსს (არა მხოლოდ ფორმულირებას).
<p>პერიფერიულ ადგილებში საარჩევნო უბნების ტექნიკური აღჭურვა</p>	<p>ც.ს.კ.-მ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პერიფერიულ ადგილებში (სოფლებში) განთავსებულ საარჩევნო უბნების ტექნიკურ აღჭურვას.</p>
<p>დოკუმენტირება</p>	<p>ც.ს.კ.-მ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სატრენინგო პროგრამაში უნდა გაითვალისწინოს შემდეგი თემატური საკითხების მიმოხილვა:</p> <ul style="list-style-type: none"> • საარჩევნო დოკუმენტების სრულფასოვნად მომზადება და შევსება; • ენობრივი ბარიერი - ნიმუშები; • სატრენინგო პროგრამებში პრაქტიკული სავარჯიშოების გათვალისწინება;

	<ul style="list-style-type: none">• ტრენინგის მონაწილეებისათვის სატრენინგო პროგრამისა და საცნობარო მასალების ადვილად აღქმად და მარტივ ფორმატში შეთავაზება.
--	--

დანართი 1: დამკვირვებელთა მივლინების განრიგი

დანართი 2: დარღვევებისა და წარდგენილი საჩივრების ცხრილი

დანართი 3: დამკვირვებელთა პირადი მოხმარების დოკუმენტაცია